თამაზ კოჭლამაზაშვილი

წესი მოძღვრობისა

მოძღვრის წოდებისა და წესის[1] რაობასა და მოძღვრობის პრობლემას ბოლო ხანებში არაერთი ავტორი შეეხო. საკითხი ძირითადად განიხილებოდა ასკეტიკურ-ზნეობრივი და პრაქტიკულ-ლიტურგიკული ასპექტებით. სასულიერო მიმართულების პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი პუბლიკაციებისა და ცალკე წიგნების სახით გამოიცა სხვადასხვა სახის „კითხვა-მიგებანი", „რჩევები ახალბედა მოძღვრებს", „რას გვეტყვი, მამაო", „კითხვანი აღსარებასა ზედა" და მრავალი სხვა.

სამწუხაროდ, ეს თხზულებები არცთუ იშვიათად შეიცავენ უმართებულო ცნობებსა და საეჭვო რეკომენდაციებს; უმეტესწილად მითითებული არაა ცალკეულ სწავლებათა წყაროები, და ზოგჯერ სავსებით უავტოროდაც წარედგინება მკითხველს, რითაც უგულებელყოფილია ავტორის პასუხისმგებლობა.

მიუხედავად ამ ხარვეზებისა, მოძღვრობის შესახებ გამოცემულ ლიტერატურას აქვს ერთი დადებითი მხარე – იგი აშკარად გვიჩვენებს მორწმუნეთა საზოგადოების ინტერესს მოძღვრობის საკითხისადმი.

რა არის მოძღვრობა, როგორც წესი (ხელობა, თანამდებობა), ქრისტიანობაში საზოგადოდ; როგორია ამ წესის წარმოშობა და განვითარების გზა; რომელ დოგმატურ, ეკლესიოლოგიურ და საეკლესიო-სამართლებრივ საფუძვლებზე ჩამოყალიბდა მისი პრაქტიკულ-ლიტურგიკული სახე სხვადასხვა ეპოქაში, – ამ საკითხების შესწავლის გარეშე შეუძლებელი იქნება, შევაფასოთ სამოძღვრო პრაქტიკის სახე

1 'წესს' ძველ ქართულში რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდა. ერთ-ერთი მათგანი, რომლითაც ჩვენ მას აქ ვხმარობთ (და ძველი ქართული მწერლობის მრავალ ძეგლშია დადასტურებული), არის 'სახელო' ანუ 'თანამდებობა' ('მოწესე' კი – მოხელე, რომელიმე დასის წევრი ანუ რაიმე თანამდებობის მქონე პირია). 'წესმა' ქართულში ეს მნიშვნელობა, როგორც ჩანს, ბერძნული ἡ τάξις-ის მიხედვით შეიძინა საღმრთისმეტყველო ლიტერატურის თარგმნის პროცესში; რადგანაც τάξις ბერძნულში 'წესს', 'წესრიგს' და 'განწესებასაც' ნიშნავდა და 'თანამდებობასაც', ქართველმა მთარგმნელმა τάξις-ის შესატყვისად 'წესი' დაწერა იქაც, სადაც 'წესრიგი' იგულისხმებოდა, და იქაც, სადაც თანამდებობაზე იყო საუბარი. კონტექსტში 'წესის' ამგვარი მნიშვნელობის ხშირმა გამოვლენამ კი, როგორც ჩანს, გააფართოვა სიტყვის სემანტიკური არე.

ამა თუ იმ ეპოქაში, და განვსაზღვროთ მისი მიმართება საეკლესიო ტრადიციასთან.

საქართველოს ეკლესიაში არსებული მოძღვრობის ინსტიტუტის ისტორიული ფორმების შესწავლის ცდები ძალზე ძუნწად გვხვდება სამეცნიერო ლიტერატურაში. ამჟამად ჩვენი მიზანია, მოკლედ მიმოვიხილოთ ზოგიერთი მათგანი და მკითხველს გავაცნოთ პოსტათონურ კურთხევათა კრებულების შესწავლის შედეგად ახალგამოვლენილი მასალები მოძღვრობის წესის ისტორიის შესახებ.

'მოძღვარს', როგორც ტერმინს, ამჟამად უფრო 'მღდელის' სინონიმური მნიშვნელობით ხმარობენ. ასე მოიხსენიებენ თითოეულ მღდელმსახურს, რადგან ჩვეულებრივი მღდელმოქმედების გარდა (საღმრთო მსხვერპლის შეწირვა, ლოცვა, საეკლესიო წეს-განგებათა აღსრულება), ისინი მოძღვრობასაც ეწევიან (სამოძღვრო ანუ სწავლებითი საუბრები, რომელსაც ამჟამად უფრო ქადაგებად მოიხსენიებენ,[2] აღსარების მიღება, ძმათათვის სულიერი და ზნეობრივი რეკომენდაციების

2 სიტყვა „ქადაგება", რომელიც ამჟამად „სწავლა-მოძღვრებითი საუბრის" მნიშვნელობით იხმარება, თავდაპირველად ნიშნავდა „საჯარო გამოცხადებას", „უწყებას", „მოწვევას", „ხმამაღალ განცხადებას", „მახარებლობას". ამ მნიშვნელობითაა იგი მრავალგზის მოხსენიებული ახალი აღთქმის ტექსტებში, როგორც სახელის ფორმით („ქადაგება", τὸ κήρυγμα; მათე 12,41; ლუკა 11,32; I კორ. 1,21; 2,4; 15,14), ისე ზმნური ფორმითაც („ვქადაგებ" κηρύσσω; „ქადაგება" ინფ. κηρύσσειν; მათე 3,1; 4,17; 10,7; 10,27; მარკ. 1,4,7,14,39,45; 3,14; 5,20; 6,12; 13,10; 16,20; ლუკა 3,3; 4,18,19,44; 8,1,39; 9,2; 24,47; საქმე მოც. 8,5; 9,20; 10,37,42; 13,24; 19,13; 20,25; 28,31; II ტიმ. 4,17; ტიტე 1,3; რომ. 2,22; 10,8,14,15; 14,24; I კორ. 1,23; 9,27; 15,11-12; II კორ. 4,5; 11,4; გალატ. 2,2; 5,11; ფილ. 1,15; კოლ. 1,23,28). აქედანვე მომდინარეობს ლიტურგიკული ტერმინი „კუერექსი". ეს არაა ლოცვა, როგორც ზოგჯერ განმარტავენ, არამედ მოწოდება ლოცვისაკენ (მაგ., „მშჯდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ" და სხვ.). „კეთილი უწყების", ანუ „მახარებლობის" მნიშვნელობა რომ ჰქონია „ქადაგებას", ჩანს ფილიპ. 1,18-დან: „ქრისტე იქადაგების" (ამის შესატყვისადაც ბერძნულში წერია: Χριστὸς καταγγέλλεται, ე. ი. ქრისტეს ახარებენო); „ხმამაღალი გამოცხადების" მნიშვნელობა აქვს „ქადაგებას" მათეს სახარების ერთ ადგილას: „ხოლო რაჟამს იქმოდი ქველისსაქმესა, ნუ ჰქადაგებ (μὴ σαλπίσῃς) წინაშე შენსა (მათე 6,2). σαλπίζω ზმნა მომდინარეობს ἡ σάλπιγξ-იდან, რაც 'საყვირს' ნიშნავს. ე.ი. აქ ციტირებულ კონტესტში „ნუ ჰქადაგებ" ნიშნავს: „საყვირის ხმით ნუ ჩაჰყვირი" (იგულისხმება: საკუთარ თავს). („ქადაგების" სხვა შესატყვისები, რომლებიც „უწყებას", „ხმამაღალ გამოცხადებას" მოასწავებენ, სხვადასხვა ნიუანსით, იხ. ს. ყაუხჩიშვილის საერთო რედაქციით შედგენილ „ბერძნულ-ქართულ დოკუმენტირებულ ლექსიკონში", ტ. VII, 2007 წ., გვ. 181). „ქადაგება" და „სწავლა-მოძღვრება" ერთმანეთისაგან გამიჯნული ცნებები რომ იყო, განსაკუთრებით მკვეთრად ჩანს სახარების შემდეგ ფრაზებში: „და მოჰვლიდა იესუ ყოველსა გალილეასა და ასწავებდა (διδάσκων) შესაკრებელთა შორის მათთა და ქადაგებდა (κηρύσσων) სახარებასა სასუფეველისასა და განჰკურნებდა ყოველსა სენსა და ყოველსა უძლურებასა ერსა შორის" (მათე 4,23; იგივე ფრაზა, მცირედი ცვლილებით, იხ: მათე 9,35). „წარვიდა (იესუ) მიერ ქადაგებად (κηρύσσειν) და სწავლად (διδάσκειν) ქალაქებსა მათსა (მათე 11,1).

მიცემა და ა. შ.), მაგრამ ეს დიდი ხნის მოვლენა არაა. ჩვენში მას არაუმეტეს ორი საუკუნის ისტორია აქვს. ძველად კი მღდელმსახურისა და მოძღვრის ფუნქციები მკვეთრად იყო გამიჯნული და ყველა მღდელმსახურს მოძღვრობის უფლება არ ეძლეოდა.

სანამ განვიხილავდეთ საეკლესიო კანონმდებლობას მოძღვრობის შესახებ, და მოძღვრის ადგილსა და სახელოს საეკლესიო იერარქიაში, ორიოდე სიტყვით შევეხოთ ტერმინ „მოძღვარს".

საღმრთო წერილში 'მოძღვარი' ძირითადად διδάσκαλος-ის[3] ან მისი ებრაული ფარდის – „რაბის" (rb ან rby; ν ῥαββί ან ν ῥαββουνί)[4] შესატყვისად გვხვდება, რაც „მასწავლებელს", „სჯულის მოძღვარს", „სწავლულს", „მეცნიერს", „ბრძენ კაცს" ნიშნავს; რამდენიმე შემთხვევაში კი ὁ ἐπιστάτης-ისა,[5] რაც „(მდგომარეობით) უფროსს", „დამრიგებელს", „ზედამხედველს", „წინამძღოლს" მოასწავებს (სიტყვასიტყვით კი – „ზედამდგომელს" ნიშნავს; შდრ. наставник).[6]

სახარებაში მოძღვრად ძირითადად მოიხსენიება იესუ ქრისტე, იოვანე ნათლისმცემელი („რაბი"),[7] ნიკოდიმოსი („მოძღუარი ისრაელისაჲ")[8] და სხვა შჯულისმეცნიერნი.[9]

მათეს სახარებაში მოთხრობილია, თუ მწიგნობართა და ფარისეველთა განკითხვისას როგორ ასწავლის იესუ ქრისტე თავის მოწაფეებს, არ დაემსგავსონ მათ, და მოძღვრის ტიტულით არ მოიხსენიონ თავიანთი თავი, როგორც ამას ისინი სჩადიოდნენ: „უყუარს (მწიგნობართა და ფარისეველთა) ზემოჯდომაჲ სერსა ზედა და პირველდაჯდომაჲ შესაკრებელთა შორის და მოკითხვაჲ უბანთა ზედა და რაჲთა ხადოდიან კაცნი: რაბი, რაბი! ხოლო თქუენ ნუ იწოდებით რაბები, რამეთუ ერთი არს მოძღუარი თქუენი – ქრისტე, ხოლო თქუენ ყოველნი ძმანი ხართ" (მათე 23,6-8).

'მოძღურად' მოციქულთა წოდება დაიწყო მხოლოდ ქრისტეს ამაღლების შემდეგ, როდესაც ისინი უფალმა აკურთხა მოძღვრობაზე, ანუ სწავლებაზე: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა და ასწავებდით მათ (διδάσκοντε αὐτούς) დამარხვად

3 მათე 8,19; 9,11; 10,24; 12,38; 19,16; 22,16,24,36; მარკ. 4,38; 9,17,38; 10,17; 12,14; ლუკა 2,46; 9,38; 10,25; 18,18; 19,39; 20,21,39; 21,7; იოვანე 1,38; 13,13-14; 20,16; საქმე მოც. 13,1; იაკ. 3,1; რომ. 2,20; 12,7; I კორ. 12,28-29; ეფეს. 4,11; I ტიმ. 2,7...

4 მათე 23,7-8; 26,25,49; მარკ. 14,45; 9,5; იოვანე 3,2; 4,31; 11,8...

5 ლუკა 8,24,45; 17,13...

6 საღმრთო წერილში ტერმინ „მოძღვრის" მნიშვნელობის შესახებ დაწვრილებით იხ.: Γ. Γρατσέας, Διδάσκαλος, ΘΗΕ, τ. IV, 1964 Αθῆνάι, 1198-1199. Γ.

7 იოვანე 3,26.

8 იოვანე 3,10.

9 ლუკა 2,46.

ყოველი, რაოდენი გამცენ თქუენ“ (მათე 28,19-20).

‘წარმართთა მოძღურად’ მოიხსენებს თავის თავს პავლე მოციქული (διδάσκλος ἐθνῶν– I ტიმ. 2,7; II ტიმ. 1,11). „საქმე მოციქულთა“-ში პავლესთან ერთად სხვა მოძღვრებიც მოიხსენიებიან: „იყვნეს ანტიოქიას შინა წინაᲲსწარმეტყუელნი და მოძღუარნი: ბარნაბა და სჳმეონ, და ლუკიოს კჳრინელი და მანაინ და სავლე“ (საქმე მოც. 13,1). პეტრეს კათოლიკე ეპისტოლიდან ჩანს, რომ ამ წოდებას ზოგჯერ უმართებულოდ ითვისებდა ისეთი პირი, რომელიც ჭეშმარიტების ნაცვლად წარმწყმედელ წვალებას ავრცელებდა. მათ მოციქული „ცრუ-მოძღვრებად“ (Ψευδοδιδάσκαλοι) მოიხსენიებს (II პეტ. 2,1).

პავლე მოციქული მოძღვრობის განწესებას, ისევე, როგორც საღმრთო მსახურების სხვა სახეებისას, მიაწერს უფალს: „რომელნიმე დაადგინნა ღმერთმან ეკლესიათა; პირველად მოციქულნი, მეორედ წინაᲲსწარმეტყუელნი, მესამედ მოძღუარნი (διδάσκαλοι); მერმე ძალნი, მაშინღა მადლნი კურნებათანი, შეწევნანი, წარმატებანი, თესლად-თესლადი ენათა“ (I კორ. 12,28). მოციქულობა და მოძღვრობა აქ, ერთი შეხედვით, ერთმანეთისაგანაა გამიჯნული, კომენტატორები კი მიუთითებენ, რომ საკუთრივ მოძღვართა გარდა, მოციქულნიც და წინასწარმეტყველნიც თავიანთი ფუნქციით მოძღვარნივე არიან, უფრო მაღალი დასისა.[10] მათ შემდეგ, მოძღვრებისა და სწავლების გავრცელების მიზნით, ეკლესიას ღმერთმა განუწესა მოძღვართა მესამე დასი (იგულისხმება მღდელთმოძღუართა ანუ მღდელთმთავართა დასი), რომელთა მოძღვრება იმით განსხვავდება მოციქულთა და წინასწარმეტყველთა მოძღვრებისაგან, რომ, თუ ისინი მხოლოდ სულიწმიდის მიერ შთაგონებულ სიტყვებს წარმოთქვამდნენ, მესამე დასის მოძღვარნი ხანდახან თავიანთი სწავლულებისა და გონიერების მოშველიებითაც განავრცობენ მოძღვრებას, იმავე სულიწმიდის მადლის შეწევნით. მაშასადამე, სამი დასის მოძღვართა (მოციქულთა, წინასწარმეტყველთა და მღდელთმოძღვართა) შორის განსხვავება მხოლოდ უფროს-უმცროსობაა.[11]

10 „ეძიებ თუ ღმრთივ დადგინებულთა მოძღუართა ეკლესიისათა პირველობასა და შემდგომობასა, ესე აწ მე წარმოგითხრა: პირველად მოციქულნი, მეორედ წინაᲲსწარმეტყუელნი, მესამედ მოძღუარნი“ (Jer.9,18r-v. იხ.: სამოციქულოს განმარტება, გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფრემ მცირის (კარიჭის ძის) მიერ, II, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, თბ., 2006, 287).

11 [„არა ლიტონად იტყჳს (მოძღუართა) პირველობასა და მეორეობასა (I კორ. 12,28), არამედ რაᲲთა ცხად ყოს უპირატესობაᲲ და შემდგომობაᲲ პატივთა მათთაᲲ. ვინაᲲცა კეთილად თქუნა პირველად მოციქულნი, ვითარცა დასაბამნი და ძირნი ქრისტიანეთა სარწმუნოებისანი, ხოლო წინაᲲსწარმეტყუელნი – მეორედ. არა თუ ძუელთა წინაᲲსწარმეტყუელთა იტყჳს, რომელნი იყვნეს პირველ

ცალკეულ თემში ერთი მოძღვრის განწესების იდეა სათავეს იღებს იაკობ მოციქულის ეპისტოლიდან: „ნუ მრავალნი ჰმოძღურით, ძმანო ჩემნო! უწყოდეთ, რამეთუ უდიდესი სასჯელი მოვიღოთ, რამეთუ ფრიად ვსცთებით ყოველნივე“ (იაკ. 3,1-2).

რატომ არაა მიზანშეწონილი მრავალთა მოძღვრება ერთ თემში? რატომ მივიღებთ ამის გამო უდიდეს სასჯელს? – იაკობ მოციქულის ეპისტოლის ამ ადგილის კატენურ განმარტებაში ვკითხულობთ: „თუ ვინმე მარტო სიტყვებით ასწავლის მოწაფეს ამა თუ იმ სათნოებას, თავად კი ეს სათნოება ჯერ არა აქვს მოპოვებული, ამგვარი სწავლება არა მარტო უსარგებლოა, არამედ ძალზე საზიანოც; როგორ შეიძლება, მოწაფეს ჯეროვნად ასწავლო ის საქმე, რომელიც თავადვე გეშლება და სცდები?

„სწავლებისას სიტყვიერი შეუმცდარობა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც, რასაც სხვათა სასწავლელად იტყვი, ჯერ ყოველივეს შენვე აღასრულებ საქმით. სათნოების მასწავლებელს ჯერ საკუთარი სხეული უნდა ჰქონდეს დამორჩილებული და ყოველივე სიბილწისაგან განშორებული. ღმრთის შიში მან აღვირივით უნდა ამოსდოს ყოველივე ცოდვას, და მხოლოდ ამის შემდეგ ასწავლოს სხვას ბოროტისაგან მოქცევა და სიკეთის ქმნა. და ასწავლოს მარტო სიტყვით კი არა, არამედ – სიტყვით და საქმით.“[12]

ქრისტეს მოსლვისა, არამედ მათ, რომელნი-იგი შემდგომად მოციქულთა იყვნეს ყოველთა ეკლესიათა. ამისთჳსცა პირველ მათსა ითქუნეს მოციქულნი, რამეთუ ყოველივე იგი საზომი მადლთა პირად-პირადისა განყოფისაჲ თავთა შორის მათთა აქუნდა უნაკლულოდ. ხოლო მეორედ თქუმულთა ამათ წინაჲსწარმეტყუელთა ერთი ოდენ აქუნდის მადლთა მათგანი – წინაჲსწარმეტყუელებაჲ; ვითარ-იგი იყო აგაბოს და ასულნი ფილიპესნი, და თჲთ მათ კორინთელთაცა შორის, რომელთა მიუწერს, ვითარმედ: „წინაYსწარმეტყუელნი ორნი ანუ სამნი იტყოდედ“ (I კორ. 14,29). უფროჲსღა ყოველთა ეკლესიათა იყვნეს ეგევითარნი წინაჲსწარმეტყუელნი, უმრავლესნი რიცხჳთა უფროჲს ძუელთა მათსა, რამეთუ არა ათთა გინა ოცთა ანუ ასთა მიმართ დაადგრა სიმდიდრე იგი მადლისაჲ. ხოლო უკუეთუ გესმის ქრისტესი, ვითარმედ: „შჯული და წინაჲსწარმეტყუელნი ვიდრე იოვანესდამდე წინაჲსწარმეტყუელებდეს“ (მათე 11,13; ლუკა 16,16), გულისჴმა-ყავ, ვითარმედ ესე ძუელთა მათთჳს უთქუამს, წინამომასწავებელთა მოსლვისა მისისათა. ხოლო მესამედ მოძღუარნი ამისთჳს დაიწესნეს შემდგომად წინაჲსწარმეტყუელთა, რამეთუ წინაჲსწარმეტყუელი ყოველსავე სულისა მიერ წინაჲსწარმეტყუელებს, ხოლო მოძღუარი ოდესმე თჳსისაგანცა გონებისა გინა სწავლულებისა განავრცობს მოძღურებათა, მითვე მადლითა სულისა წმიდისაჲთა. და კუალად, ამისთჳს მყის შემდგომად მოციქულთა და წინაჲსწარმეტყუელთასა მესამე დასი მიეცა მოძღუართა, რამეთუ ურიცხუთა სულთა მარგებელ ექმნნეს სიტყჳთა სწავლათა თჳსთაYთა (Jer. 9,18v; სამოციქულოს განმარტება, II, გვ. 287-288).

12 „ვინაჲთგან პირველ საქმით წარმართებისა სათნოებათაჲსა სიტყჳთ მოძღურებაჲ სხუათაჲ საქმეთა მათთჳს, რომელნი თჳთ არა აქუნდენ მასწავლელსა მას, არა ხოლო ურგებ, არამედ ფრიადისა ზღვევისაცა მომატყუებელ არს. ამისთჳს საშჯელისა თანამდებ ჰყოფს სიტყჳთ მოძღურებასა სხუათასა, რა-

როგორც ვხედავთ, მრავალთა მოძღვრობის მიზანშეუწონლობის ახსნისას კომენტატორები კმაყოფილდებიან მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ მოძღვარი, სანამ სხვათა დამოძღვრას შეუდგებოდეს, ჯერ თავად უნდა იყოს სულიერი გამოცდილებით აღსავსე; საკუთრივ მრავალთა მოძღვრობაზე კი სიტყვას აღარ აგრძელებენ, რადგანაც კონტექსტიდან აშკარაა: მოძღვრობისათვის საჭირო გამოცდილების შეძენა ხანგრძლივი და მძიმე მოღვაწეობითაა შესაძლებელი, რაც მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, მრავალთათვის კი – მიუწვდომელი.

საეკლესიო სწავლების თანახმად, მოძღვრობის პატივს არ უნდა ესწრაფოდნენ ისეთი პირნი, რომელთაც საამისო სისრულისათვის არ მიუღწევიათ; რომელნიც, იაკობ მოციქულის სიტყვისამებრ, „ფრიად ვსცთებით“. მით უფრო, დამწყები და ახალბედა – სრულიად შეუფერებელია მოძღვრობის პატივისათვის.[13] ერის სულიერ წინამძღვრად და მოძღვრად გამორჩეული უნდა იქნეს ერთი ყველაზე სანიმუშო მოწესე, რომელიც განშორებულია ყოველი უწესოებისაგან და აღვსებულია ყოველგვარი წესიერებით, რომელიც არასოდეს მიდრკება ზომიერისა და ჯეროვნისაგან, რომლის სიტყვები შეზავებულია საღმრთო მადლის მარილით.[14]

მოძღვრის სიტყვას უდიდესი ზემოქმედება აქვს მორწმუნეთა გულებზე, და, იმისდა მიხედვით, ჯეროვნად წარემართება იგი თუ უჯე-

ჟამს თჳთ მოძღუარი იგი ჯერეთ მრავლით-კერძო მცთომ იყოს საქმეთა შინა. მოციქულისაY: რომელი სიტყჳ̃თ არა სცთებოდის, იგი სრული კაცი არს. შემძლებელ არს იგი აღჳრ-სხმად ყოვლისავე გუამისა (იაკ. 3,2). თარგმანი: ესე არს სიტყჳთ არა-მცთომობაი̯ მოძღურებასა შინა, რაი̯თა, რასა-იგი იტყოდის სასწავლელად სხუათა, ყოველივე თჳთ საქმით წარემართოს. და ესრეთ სრულ ქმნილ იყოს სიტყჳთ და საქმით, რაი̯თა ყოველივე გუამი მისი აღჳრ-სხმულად და მიუახლებელად აქუნდეს ყოვლისავე ცოდვისაგან აღჳრითა შიშისა ღმრთისაი̯თა, და ესრეთღა ასწავებდეს სხუათა; არა ეგოდენ სიტყჳთ, რაოდენ სიტყჳთ და საქმით, მოქცევასა ბოროტისაგან და ქმნასა კეთილისასა (სამოციქულოს განმარტება, გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფრემ მცირის (კარიჭის ძის) მიერ, I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, გამომცემლობა „ალილო“, თბილისი 2011,457-458).

13 მაშასადამე, პუბლიკაციები, სათაურით – „რჩევები ახალბედა მოძღვრებს“, რომლებიც ამასწინათ გამოჩნდა ჩვენს ბეჭდურ და ციფრულ გამოცემებში, – უკვე სათაურიდანვე მცდარია, ტრადიციული საეკლესიო თვალსაზრისის მიხედვით. მოძღვრის პატივი მხოლოდ სულიერ, გამოცდილ და განსწავლულ პირთ შეჰფერის, ხოლო ახალბედა ანუ გამოუცდელ მოღვაწეთათვის ამგვარი პატივი, შესაძლოა, „პატიჟის მომატყუებელი“ (ე. ი. დასჯის საფრთხე) შეიქნეს.

14 კირილე ალექსანდრიელის სიტყვით, „ყოველსავე ადგილსა ეძიებს სიტყუაი̯ ესე მოძღუართაგან და წინამძღუართა ერისათა, რაი̯თა სიტყუაი̯ აქუნდეს ზომიერად შეზავებული მადლთა მარილითა (შდრ. კოლ. 4,6) და არასადეთ მიდრეკილი ზომიერისა და ჯეროვნისაგან, ყოვლად ლტოლვილი ყოვლისა უწესოებისაგან და ყოვლად აღსავსე ყოვლითა წესიერებითა“ (სამოციქულოს განმარტება, ტ. I, გვ. 458).

როდ, თემის აღშენებაც შეუძლია და დაქცევაც. „ერთმოძღურებას“ კი „მრავალმოძღურებასთან“ შედარებით ის უპირატესობა ეძლეოდა საეკლესიო ტრადიციით, რომ ერთმოძღვრება თემის ერთობას განამტკიცებდა, ხოლო რამდენიმე მოძღვრის ერთ თემში მოღვაწეობას შეეძლო გამოეწვია ამა თუ იმ სარწმუნოებრივი ან ყოფითი საკითხისადმი ერთმანეთისაგან განსხვავებული მიდგომის წარმოშობა თემის ცალკეულ ჯგუფებში. ეს იმიტომ, რომ ყველა მოძღვარი თანაბარი სიღრმით ვერ იქნებოდა განსწავლული საღმრთო მოძღვრებაში, და თითოეული მოძღვრის სამწყსო ჩამოყალიბდებოდა მათი სულიერი წინამძღოლის სიწმიდის, სიბრძნის, სწავლულების დონის, პედაგოგიური გაქანებისა და მიმართულების შესაბამისად, ე. ი. ერთი თემის ფარგლებში გაჩნდებოდა საკუთარი ტრადიციების მქონე სხვადასხვა სკოლები, რაც თემის წევრთა ერთობას შეარყევდა, ეს კი თემის წევრთა შორის დაძაბულობისა და წინააღმდეგობის გამომწვევი შეიძლებოდა გამხდარიყო. ასე რომ, „ერთმოძღვრება“ ეკლესიის ერთიანობისათვის აუცილებელ პირობად იყო მიჩნეული.

თუ რა შფოთისა და განხეთქილების გამწვევა შეეძლო ერთ თემში მოძღვართა სიმრავლეს, ამისი თვალსაჩინო მაგალითი დაფიქსირებულია „რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაში“ (1105 წ.): „შემდგომად ამათსა ამისიცა სათანადოდ ვჰგონეთ მოჴსენებაჲ, ვინაჲთგან მოძღურად წოდებულთა მათ მონაზონთაჲ ფრიადი და აღურიცხველი არს სიმრავლე, და ერთსა მონასტერსა შინა ხუთნი და ათნი, მრავალგზის ოცნიცა და ოცდაათნი იპოებიან, დიდი თუ იყოს მონასტერი; და მრავლისა შფოთისა და განხეთქილებისა მიზეზსა შემოიღებს სიმრავლე მათი. ამისთჳს განვაჩინებთ, რაჲთა ამიერითგან დასცხრეს ესევითარი ესე უწესოებაჲ, და პირველად ამას განვასაზღვრებთ, რაჲთა უმღდელოსა არა ჴელ-ეწიფებოდის განმკითხველობად სულთა, არა თუ ეპისკოპოსი იყოს, ანუ მღდელი, ანუ დიაკონი, რამეთუ პირველად შეკრვისა და განჴსნისა ჴელმწიფებასა უჴმს ქონებად, და ეგრეთღა განკითხვისა სულთაჲსა ჴელ-ყოფად. ამას თანა, რაჲთა დიდთა მონასტერთა შინა ორ-ორი, ხოლო მცირეთა შინა თითო ხოლო კმა-იყოს მოძღუარი. და უკუეთუ ვინმე ამას განჩინებასა გარდაჰჴდეს, უეჭუელად ესმეს მას, ვითარმედ: ხოლო ჴდომისაგანთა მათ და ურჩთა ჭეშმარიტებისათა და მორჩილთა სიცრუისათა – რისხვაჲ და გულისწყრომაჲ, ჭირი და იწროებაჲ და შემდგომი.“[15]

ამრიგად, „ძეგლისწერა“ ერთ თემში მოძღვართა სიმრავლეს უწესოებად მოიხსენიებს, და განაჩინებს მათი რაოდენობის შეზღუდვას. ხოლო ვინც დაარღვევს ამ განჩინებას – „ჴდომისაგანთა“ და „ჭეშმარიტების ურჩთა“ მოსაგებელის თანაბარ რისხვას უქადის.

15 ე. გაბიძაშვილი, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, თბ., 1978, 128.

რა კონკრეტული ფუნქციების შესრულება ევალებოდა მოძღვარს?

გამოთქმულია მოსაზრება, რომ „მოძღვარი“ და მისგან ნაწარმოები ტიტულები რაიმე განსაზღვრულ საეკლესიო თანამდებობასა და დაწესებულებას კი არ გამოხატავდა, არამედ მხოლოდ საპატიო წოდებები იყო;[16] ამის მაგალითად მოჰყავთ სამი დიდი მღდელთმთავრის (ბასილი დიდის, გრიგოლი ღმრთისმეტყველისა და იოვანე ოქროპირის) „მსოფლიო მოძღვრებად“ მოხსენიება;[17] ასევე, ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელების, ეფრემ მცირისა და სხვათა მოხსენიება „დიდ მოძღვრებად.“[18] ე. გაბიძაშვილის აზრით, სხვადასხვა წყაროებში მოხსენებული „სულიერი მოძღვარი“ ყოველთვის არ უნდა გადმოსცემდეს გარკვეულ თანამდებობას.[19]

„მოძღვრის“ საპატიო ტიტულად ხმარება, ალბათ, გამორიცხული არ უნდა იყოს (მაგალითად, მაშინ, როდესაც სწავლულებით გამორჩეულ უმაღლეს იერარქებს და უდიდეს საეკლესიო მწერლებს ვახსენებთ), მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული საისტორიო წყაროები გვიჩვენებენ, რომ ‘მოძღვარი’ ამასთანავე, იყო ტიტული სრულიად განსაზღვრული თანამდებობის პირისა, რომელსაც განსაზღვრული ფუნქციების შესრულება უხდებოდა.

მოძღვრის ტიტულის (διδάσκαλος) არსებობა ბიზანტიაში – შუა საუკუნეებამდეა დაფიქსირებული.[20] მისგან წარმოშობილა სხვა მონათესავე ტიტულებიც: „მხოფლიო მოძღვარი“ (ὁ οἰκουμενικὸς διδάσκαλος), „დიდი მოძღვარი“ (ὁ μέγας διδάσκαλος) , „მოძღვართმოძღვარი“ (ὁ διδάσκαλος τῶν διδασκάλων). მოძღვართმოძღვრად, სახელდობრ, იწოდებოდნენ უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელები.[21] მაშასადამე, მოძღვრის უმთავრესი ფუნქცია სწავლება უნდა ყოფილიყო.

ივ. ჯავახიშვილი წერს: „განსაკუთრებული ადგილი ეკავა სამონასტრო ცხოვრებაში მოძღვარს. მოძღვარი მეცნიერი ბერი იყო, რო-

16 იქვე, გვ. 131.

17 ანალოგიური ტიტულით დასავლეთის ეკლესიაში მოიხსენიებიან წმიდა მღდელთმოძღვარნი: ამბროსი მედიოლანელი, ნატარი ავგუსტინე, გრიგოლ დიალოღონი და იერონიმე (Doctores Ecclesiae).

18 ე. გაბიძაშვილი, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, გვ. 131.

19 იქვე.

20 სიმონ ყაუხჩიშვილი, გელათის აკადემია, თბ., 1948, 18.

21 მოძღვართმოძღვრის ტიტული საქართველოს ეკლესიაში XII საუკუნიდანაა ცნობილი. იგი ენიჭებოდა სასულიერო სასწავლებლების ხელმძღვანელებს, მოგვიანებით კი ზოგიერთი მონასტრის წინამძღვარსაც (იხ. ე. თაყაიშვილი, ჭელმწიფის კარის გარიგება, თბ., 1920, XXIX-XXXIII); ს. ს. ყაუხჩიშვილი, გელათის აკადემია, გვ. 19; ჭელმწიფის კარის გარიგება, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ივ. სურგულაძემ, თბ., 1970,30-31; ს. გამსახურდია, სწავლა-განათლება ძველ საქართველოში, თბ., 1975, 35-54; ე. გაბიძაშვილი, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, გვ. 128-133.

მელსაც მოწაფეები ჰყავდა და რომელთანაც სხვადასხვა მხრიდან მოდიოდნენ ხოლმე სასწავლებლად. მოძღვარი თავის მოწაფეს სულიერ-სარწმუნოებრივ ხელმძღვანელობასაც უწევდა და მწერლობასა და მეცნიერებას და რომელსამე ხელოვნებას ასწავლიდა. მოწაფე თავის მოძღვართან ცხოვრობდა და სწავლობდა."[22]

მოძღვრისა და მოძღვართმოძღვრის უმთავრესი ფუნქცია რომ სწავლება იყო, ერთხმადაა გაზიარებული სხვა მკვლევართა მიერაც,[23] მაგრამ ამასთანავე აღნიშნავენ, რომ სულიერი მოძღვრის ფუნქცია იყო აგრეთვე მოწაფისაგან აღსარების მიღება, კანონის დადება, ცოდვების შენდობა და, საზოგადოდ, სულიერი ხელმძღვანელობა.[24] ეს კი, არსებითად, ისევ სწავლებაა: თუ სწავლა-მოძღვრებითი საუბრები ეკლესიის მთელი კრებულისთვის იყო განკუთვნილი, სწავლების სხვა სახე – სულთა განმკითხველობა – ცალკეულ მორწმუნეთა ინდივიდუალურ სწავლება-შეგონებასა და სულიერი რეკომენდაციების მიცემას ისახავდა მიზნად, და, საჭიროების შემთხვევაში, – მხილებას, შერისხვასა და განკანონებასაც აღსარების მოსმენის შემდეგ.

მოძღვრის სახელოსა და მოძღვრობის წესის რაობის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის უამრავი საეკლესიო-სამართლებრივი დოკუმენტი. სახელდობრ, ეფთვიმე მთაწმიდელი VI მსოფლიო საეკლესიო კრების 40-ე კანონში მიუთითებს: „რომელნი მონაზონებისა წესსა მოვიდენ და სწადოდის მარტოდ-მყოფებაჲ, უჴმს მათ პირველად შესლვაჲ მონასტერსა და სწავლაჲ წესსა მონაზონებისასა, და სამ წელ მორჩილებად წინამძღუარსა მას და მოძღუარსა სულიერსა ყოვლითა მორჩილებითა და სიმდაბლითა."[25]

იქვე, 43-ე კანონში აღნიშნულია: „სულიერთა მათ მოძღუართა, რომელთა აღსარებაჲ იგი შეცოდებულისაჲ შეიწყნარონ, ვითარცა იხილონ სინანული მისი და შემუსრვილებაჲ და გლოვაჲ, ანუ თუ ულმობელობაჲ და გულფიცხელობაჲ და უნანელობაჲ, ჴელ-ეწიფების შემოკლებაჲცა კანონისაჲ და განგრძელებაჲ."[26]

მოძღვრობის თანამდებობის შესახებ მრავალ საინტერესო ცნობას იძლევა იოანე მმარხველის „კანონნი შეცოდებულთანი", რომელიც „მცირე სჯულისკანონს" ერთვის. სახელდობრ, მოძღვარს ჰქონდა უდიდესი სულიერი გამოცდილება, ცოდნა, მართებული განსჯა-განკითხვის

22 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 1929, 55.

23 ე. გაბიძაშვილი, რუის-ურბნისის... გვ. 130-131; სვ. გამსახურდია, სწავლა-განათლება ძველ საქართველოში, თბ., 1975, 35-44.

24 ე. გაბიძაშვილი, რუის-ურბნისის... გვ. 132.

25 მცირე სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადა ელგუჯა გიუნაშვილმა, თბ., 1972, 51-52.

26 იქვე, გვ. 53.

უნარი.[27] მას ევალებოდა გამოძიება და გამოწვლილვა აღმსარებლის სულიერი მდგომარეობისა,[28] ასევე, შეცოდებულთა განკანონება მათი ბრალის შესაბამისად,[29] აღმსარებელთ კი თავმდაბლად უნდა მიეღოთ მათთვის მიცემული კანონი.[30]

ანალოგიური ცნობები გვხვდება კანონიკური მწერლობის სხვა ძველ ძეგლებში. სახელდობრ, ცნობილ კითხვა-მიგებაში, რომელიც ეფთვიმე მთაწმიდელმა თევდორე საბაწმიდელს მისცა, აღნიშნულია, რომ ზიარების უფლებას თითოეულ მოწაფეს აძლევს მოძღვარი: რომელსა ზიარებაჂ აქუნდეს მოძღურისაგან, ეზიარენ ჟამსა სამჭრისასა და პირი იჭსნას:"[31] „მოძღუართა... მოწაფენი აკურთხნენ და აღსარებაჂ იტჯრთონ:"[32] „მოწაფესა თანა-აც მორჩილებაჂ [მოძღურისაჂ]:"[33] „რაჂცა [მოძღუარმან] ამცნოს მოწაფესა, თანა-აც მორჩილებაჂ:"[34]

ქრისტიანი რომელ მოძღვარსაც დაემოწაფება, მას არასოდეს აღარ უნდა განშორდეს: „რაჂცა (მოძღუარმან) ამცნოს მოწაფესა, რომლისაჂ-იგი აღსარებაჂ ეტჯრთოს, გინა ეკურთხოს, ჭელმწიფებაჂ აქუს მას ზედა მოძღუარსა, და მოწაფესა მას თანა-აც მორჩილებაჂ. და წარსლვად მოწაფისა მოძღურისაგან, თჯნიერ წამებისა მისისა, არა ჭელ-ეწიფების ყოვლადვე:"[35] „არარაჂ არს მიზეზი ურჩებისა და მოძღურისაგან განშორებისაჂ;"[36] და, თუ წავა, – მხოლოდ მისი თანხმობით: „წარსლვაჂ მოძღურისაგან თჯნიერ წამებისა მისისა არა ჭელ-ეწიფების [მოწაფესა]:"[37]

არის მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევები, როცა მოწაფეს მოძღვრისაგან განშორების უფლება აქვს და შეენდობა: „უკუეთუ წვალებასა ანუ კაცისკლვასა, ანუ სიძვასა ანუ გრძნებასა, გინა მწამლველობასა აწუევდეს მოძღუარი, არა აქუს ესევითარსა ჭელმწიფებაჂ; და მოწაფე იგი უკუეთუ ურჩ ექმნას, უბრალო არს:"[38] ასევე, „უკუეთუ მოძღუარი იგი ადგილსა ესევითარსა ჯდეს, სადა ვნებანი იყვნენ და მოძღუარსა მას არა ევნებოდის, ხოლო მოწაფე იგი დაცემასა შთავარდებოდის, და უთხრას მოძღუარსა მას, და მან არარაჂ იზრუნვოს

27 იქვე, გვ. 91.
28 „ჯერ-არს გამოძიებაჂ და გამოწულილვაჂ მოძღურისა, რომელი შეიწყნარებდეს აღსარებასა" (მცირე სჯულისკანი, გვ. 92).
29 „ყოველნი მოძღუარნი განჰკანონებენ შეცოდებულთა" (იქვე, გვ.86).
30 „ჯერ-არს კანონსა მოძღურისაგან მიცემულსა მითუალვად" (იქვე, გვ. 92).
31 ქართული სამართლის ძეგლები, გამოსცა ი. დოლიძემ, ტ. III, თბ., 1970, 14.
32 იქვე, გვ. 15.
33 იქვე, გვ. 15.
34 იქვე, გვ. 7.
35 იქვე, გვ. 15.
36 იქვე, გვ. 16.
37 იქვე, გვ. 16.
38 იქვე, გვ. 15.

ცხორებაჲ სულისა მისისაჲ, და მოწაფე იგი განეშოროს ამის პირისათჳს, უბრალო არს იგი."[39]

მოძღვრობა უბრალო საპატიო ტიტული რომ არაა, არამედ – სრულიად განსაზღვრული თანამდებობა (საჴელო, მოჴელეობა), ჩანს პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონიდან (1084 წ.): „უკუეთუ წინამძღუარი არა იყოს მღდელი, გინა ლიტონი მონაზონი იყოს, და უმეცარი შჯულსა მას კანონთასა, და რამეთუ ჴელსა შინა მღდელისასა არს შეკრვაჲ და განჴსნაჲ, ჯერ-არს წინამძღურისა, რაჲთა გამოირჩიოს მღდელთაგან უმჯობესი და მოღუაწე და მეცნიერი შჯულსა მას კანონთასა, და იგი განაჩინოს სულიერად მოძღურად ყოველთა ძმათა, რაჲთა წინამძღურისა წილ მას უთხრობდენ და აღუვარებდენ ყოველთა ცთომათა და გულისსიტყუათა თჳსთა."[40] აქედან ჩანს, რომ მონასტერში მოძღვრობა უშუალოდ წინამძღვარს ეკუთვნის, თუ იგი ამისათვის საკმაოდაა მომზადებული (სწავლულებისა და იერარქიული მდგომარეობის მხრივ), სხვა შემთხვევაში კი, როდესაც წინამძღვრის სწავლულება საკმარისი არაა მოძღვრის ფუნქციების შესასრულებლად, მონასტრის მოწესეთაგან გამოირჩევა „უმჯობესი და მოღუაწე და მეცნიერი," და დაიდგინება იგი კრებულის სულიერ წინამძღვრად, მოძღვრად (ე. ი. მონასტრის წინამძღვრის მოადგილედ სამოძღვრო საქმეებში).

შიომღვიმის წინამძღვრის მამა სჳმეონის განჩინებიდან (XII ს.) ჩანს, რომ მის ჟამს მონასტრის ხელისუფალთა სამეულში, წინამძღვართან და დეკანოზთან ერთად, მოძღვარიც შედიოდა: „წინამძღურისა, მოძღურისა და დეკანოზისა ჴელთა არს ეკლესიისა საქმე."[41] რაკი აქ არაა მოხსენიებული იკონომოსი, რომელიც, ჩვეულებრივ, მონასტრის უმაღლეს ხელისუფალთა შორის იხსენიება ხოლმე, ჩანს, ამ შემთხვევაში თავად წინამძღვარი ითავსებდა იკონომოსის ფუნქციებს.

ამრიგად, მოძღვარი ინიშნებოდა მონასტრის ძმათა სულიერი ხელმძღვანელობისათვის, მოძღვრებითი საუბრების, აღსარების მიღებისა და კანონის დადებისათვის. მოძღვრად შეირჩეოდა (და საგანგებო ხელთდასხმით დაიდგინებოდა) ყოველმხრივ წმიდა და უმანკო მონაზონი, რომელშიც პირადი ცხოვრების უბიწოებასთან შეერთებული იყო უდიდესი განსწავლულობა საღმრთო წერილში, ქრისტიანულ მოძღვრებასა და სჯულის კანონებში. მონასტერში შეიძლებოდა მრავალი მღდელმონაზონი ყოფილიყო, მოძღვარი კი – მხოლოდ ერთი. ყველა მას გაანდობდა აღსარებას, ყველა მისგან მიიღებდა უტყუარ რჩევა-დარიგებას სულიერი წარმატებისათვის. იმ შემთხვევებში, როდესაც „ერთმოძღვრების" პრინციპი დაირღვეოდა, ამ მოვლენას მკაც-

39 იქვე, გვ. 16.
40 იქვე, გვ. 67-68.
41 იქვე, გვ. 128.

რად განიკითხავდა საეკლესიო სამართალი, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, რუის-ურბნისის კრებაზე.

მოძღვრის ტიტული ზოგჯერ „წინამძღვართანაა“ გათანაბრებული, მის სინონიმად იხმარება. ასეა, სახელდობრ, „ვაჰანის ქვაბთა განგებაში“ (1204-1234 წწ.). იქ მონასტრის ხელისუფალთა სამეულში მოძღვარი უპირატესადაა წარმოდგენილი, და იწოდება „სულიერ მწყემსად“, „უცთომელ წინამძღურად“;[42] მეორე და მესამე მოხელე – იკონომოსი და დეკანოზია.[43]

მონასტრის არც ერთ მკვიდრს, ამ ტიპიკონის თანახმად, არა აქვს უფლება, სხვა მოძღვარს დაემოწაფოს ან თვითონ გაიჩინოს მოწაფენი. ამით მონასტრის კრებულის (ძმობის) ერთობას („სავსებას“) დარღვევის საფრთხე ექმნებოდა: „არავის ძმათაგანსა ჴელ-ეწიფების მოწაფეყოფად სხჳსა მოძღურისა, და არცა მოგებად მოწაფეთა, არცა შინაგან მონასტრისა და არცა გარეთ, და... ნუ განიყოფების ყოველი სავსებაჲ ძმათაჲ.“[44]

მოძღვრის გამორჩევის წესი მკაცრადაა „განგებაში“ განსაზღვრული: „მღდელთა დასიდან მონასტრის წევრთა (‘ძმათა’) ერთსულოვანი გადაწყვეტილებით შერჩეულ უნდა იქნეს ისეთი კაცი, რომელიც სიტყვით და საქმით ყველა დანარჩენზე უკეთესია, და ამ ფაქტს ყველა ერთხმად დაამოწმებს; ამასთან, მას მონასტერში დიდი ხანი უნდა ჰქონდეს გატარებული, და ყველა მოწმე უნდა იყოს მისი უბიწო ცხოვრებისა; შემკობილი უნდა იყოს ყოველგვარი სათნოებითი სიკეთით – სულიერითაც და ხორციელითაც, და უნდა შეეძლოს ტვირთვა ამდენი მონაზონის (‘ძმათა’) სულებისა, ...თითოეული მათგანის წვრთნა და სულიერ სნეულებათაგან კურნება... და რათა ზოგ რამეს სიტყვით ასწავლიდეს, ხოლო უფრო მეტად – საქმით (პირადი მაგალითით) უჩვენებდეს.“[45]

მოძღვრის ნებართვის გარეშე მონასტრის კრებულის წევრები ნაბიჯსაც ვერ გადადგამდნენ.[46] იგი ძმათა კრებულის ერთპიროვნული გამგებელი იყო.

---

42 იქვე, გვ. 140.

43 იქვე, გვ. 145-146.

44 იქვე, გვ. 136.

45 „დასისაგან მღდელთაჲსა გამოირჩეოდის ერთსულობისა მიერ ძმათაჲსა კაცი სიტყჳთ და საქმით უაღრესი სხუათა ყოველთაჲ, რომელსა ყოველნივე ერთჴმობით ეწამებოდინ, და მრავალი ჟამი დაეყოს მონასტერსა შინა და უბიწოჲსა ცხორებისა მისისა ყოველნი იყვნენ მოწამე, შემკობილი ყოვლითავე სათნოებათა სიკეთითა, სულიერებრისა და ჴორციელებრისა, და შემძლებელი ტჳრთვად ესოდენსა სულებსა ძმათასა; ...წურთად და კურნებად კაცად-კაცადისა წყლულებასა... და რაჲთა უმცირესთა – სიტყჳთ, ხოლო უმრავლესთა საქმით ასწავებდეს“ (იქვე, გვ. 137).

46 „რაჲთა გამოუთხოველად მოძღურისა არავის სადა ჴელ-ეწიფებოდის წარსლვად გარეგან მონასტრისა“ (იქვე, გვ. 145).

ასეთივე იერარქიული უპირატესობით სარგებლობს მოძღვარი ერისთავთ-ერისთავ მჴარგრძელის ქტიტორული განწესებით მოქმედ მონასტერში.[47]

„მცნებაჲ სასჯულოჲ“ (1470-1474 წწ.) მოძღვრებს ეპისკოპოსთა შემდეგ მოიხსენიებს, მღდელთა და დიაკონთა უწინარეს.[48] როგორც სულიერი ხელმძღვანელნი, შედარებულნი არიან „სახიერ მწყემსთან“ – ქრისტესთან.[49]

1748 წლის საეკლესიო კრებამ კვლავ განაახლა კანონი მოძღვრობის სახელოს შესახებ. ამ დროისათვის, როგორც ჩანს, ერის მოძღვრობა და აღსარების მიღება რიგით მღვდლებსაც დაუწყიათ. ამ მოვლენას უწესოებად აფასებს კრების დადგენილება და განაჩინებს: „ვამცნებთ მღდელთა ეკლესიისათა: უკუეთუ ინებონ მოძღვრებად ერისა და აღსარებისა შეწყნარებად სიტყჳერთა სამწყსოთა, ჯერ-არს, რაჲთა პირველად მიიღონ ბრძანებაჲ და შენდობაჲ თავისის ეპისკოპოსისაგან, და უკუეთუ კულა არა მიიღონ შენდობა და ბრძანება ეპისკოპოსისა, ნუ ოდეს იკადრებენ მოძღვრებად ერისა, რამეთუ უწესო არს.“[50]

მოძღვრისა და მოძღვართმოძღვრის სახელო საქართველოს ეკლესიაში XIX ს-მდე შემორჩა. მის გაუქმებას, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამ და რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის მიერ ახალი იერარქიული წესრიგის დამყარებამ.

“სულიერი მოძღვრის’ სინონიმად ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებში (X-XI სს. და შემდგომი ხანისაც) ხშირად გვხვდება ტერმინი ბერი, რაც ბერძნული γέρων (γέροντος)-ის შესატყვისია (რუს. Старец). რადგანაც სულიერი მოძღვრის (ანუ ბერის) წესზე, ჩვეულებრივ, მონაზონნი დაიდგინებოდნენ, მოგვიანებით (მოძღვრის ანუ ბერის სახელოს გაუქმების შემდეგ) ‘ბერი’ ‘მონაზვნის’ სინონიმურ ტერმინად იქცა; მონაზვნის წოდება კი ძირითადად დედაკაც მოწესეთ შემორჩა.

ცნებათა ასეთ აღრევას ზოგიერთი ისტორიული ფაქტის არასწორი ინტერპრეტაცია მოჰყვა მეცნიერებაში; სახელდობრ, ეს გახდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ აკად. კორნელი კეკელიძემ არსენ მონაზონი (იყალთოელი, კალიპოსის მონასტრის მოღვაწე) და არსენ ბერი (მწერალი კანონისტი, მეტაფრასტი და ჰიმნოგრაფი) ორ სხვადასხვა პირად მიიჩნია.[51] ამჟამად ეს თვალსაზრისი მეცნიერებაში უარყოფილია, და

47 იქვე, გვ. 150-153.
48 იქვე, გვ. 222, 229, 231, 232.
49 იქვე, გვ. 228.
50 იქვე, გვ. 800.
51 კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I (თბილისი 1980), 309-314.

დამაჯერებლადაა დასაბუთებული ამ ორი არსენის იგივეობა,[52] მაგრამ ბერობის რაობა (კერძოდ, "სულიერ მოძღვართან' ამ ტერმინის იგივეობის თეზისი) საგანგებოდ არავის გამოუკვლევია. ბოლო ორ საუკუნეში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, 'ბერი' 'მონაზვნის' სინონიმურ ტერმინად მიიჩნევა დღემდე,[53] რაც, ჩვენი დაკვირვებით, ტერმინ 'ბერის' ისტორიული მნიშვნელობის დავიწყების შედეგია. ამიტომაც განზრახული გვაქვს, ცალკე ნაშრომი მივუძღვნათ ბერობის სახელოს შესახებ მეცნიერებაში არსებული ხარვეზის შევსებას. ჯერჯერობით კი ამ მცირე შენიშვნით დავკმაყოფილდებით.

მოძღვრობა რომ განთვისებული საეკლესიო თანამდებობა იყო, და არა სამღვდელო პირთა საპატიო წოდება, მოწმობს საგანგებო წესი მოძღვრის ჴელთდასხმისა და კურთხევისა, რომელიც ამასწინათ გამოავლინა ძველქართულ „კურთხევათა" კრებულების შესწავლამ.[54] მოძღვრის ხელთდასხმის წეს-განგების ტექსტი ჩვენამდე მოღწეულია ორი ნუსხით (Q658, 58r-v და H1719, 109v-111r),[55] და დასათაურებულია ასე: „ლოცვაჲ მოძღურისაჲ, თქუმული წმიდისა ბასილი კესარიელისა."[56] ორი ხელნაწერის გარდა ეს წეს-განგება ჯერჯერობით არსად შეგვხვედრია. შესაძლოა, მომავალში სხვა ხელნაწერებშიც აღმოჩნდეს, მაგრამ ვფიქრობთ, მათი რიცხვი მაინც ძალზე მცირე იქნება, იმიტომ, რომ, წეს-განგების ტექსტშივე დაფიქსირებული ცნობით, მოძღვრის ჴელთდასხმის უფლება მხოლოდ პატრიარქს ჰქონდა;[57] მღდელთა და ეპისკოპოსთა სახმარ კურთხევათა კრებულებში მისი შეტანა არავითარი პრაქტიკული საჭიროებით გამართლებული არ იყო. ამიტომ მნუსხველნი ამ ტექსტს მხოლოდ პატრიარქისთვის განკუთვნილ კრებულში შეიტანდნენ უსათუოდ, სხვა კრებულებში კი – იშვიათად.

ტექსტის გაცნობით ვრწმუნდებით, რომ მოძღვრის დადგინების ლოცვა სიტყვასიტყვით იმეორებს წინამძღვრის ხელთდასხმის

52 იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა (თბილისი 1968), 52-57. ე. გაბიძაშვილი, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, გვ. 29-72.

53 მაგალითად, ე. გაბიძაშვილი წერს: "ბერი' სქემოსნის (ე. ი. მონაზვნის – ე. კ.) აღმნიშვნელი ზოგადი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვაა (ე. გაბიძაშვილი, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, გვ. 62.).

54 ე. კოჭლამაზაშვილი, დიდი სინური კურთხევანის რედაქციული თავისებურებანი, (თბილისი 2002), 72-74.

55 ორივე ხელნაწერი XVII საუკუნისაა. როგორც საგანგებო შესწავლით ირკვევა, ისინი ერთი და იმავე დედნიდანაა გადაწერილი (იხ. იქვე, გვ. 27).

56 ე. კოჭლამაზაშვილი, დიდი სინური კურთხევანის რედაქციული თავისებურებანი, გვ. 72.

57 მოძღვრის ჴელთდასხმის განგებაში მითითებულია, რომ მოძღვრის კურთხევა სრულდება დიდ ხუთშაბათს, წმიდა მირონის კურთხევის შემდეგ, უშუალოდ პატრიარქის მიერ (Q658, 58r-v).

ლოცვას,[58] და მისგან განასხვავებს მხოლოდ ვრცელი შესავალი, სადაც დაწვრილებითაა აღწერილი მოძღვრის გამორჩევის წესი და კურთხევის რიტუალი:

„მოიყვანონ, რომელსა ეგულებოდის მოძღურად ჴელთდასხმად.

ხოლო ესრეთ ჯერ-არს გამორჩევაჲ, რაჲთა იყოს ყოვლითურთ წმიდა და უმანკო, და ყოვლისა მსოფლიოჲსა საქმისაგან განშორებული, და მოწესე და დაყუდებული, და ერგასის წლისა მიწევნილი, და მეცნიერი ყოველთა წერილთა ძუელთა და ახალთა, და ყოველთა კანონთა სჯულისათა მრავალჟამ წურთილი.

დიდსა ხუთშაბათსა, ოდეს იკურთხეოდეს წმიდაჲ მიჰრონი და შეკრბენ წმიდანი კრებულნი ყოვლით-კერძო, მოიყვანონ წინაშე მათსა და მოვიდეს მოძღუარი მისი და მონაზონნი მის უდაბნოჲსანი, რომელსა შინა აღზრდილ იყოს და აღკუეცილ. და რაჟამს მოძღუარმან მისმან წამოს, ვითარმედ ღირს არს და უნაკლულო და ყოვლითა წესითა მისითა და მოძღურად და განკითხვად და წინამძღურად სულთა პირმეტყუელთა, მაშინ მოძღუარმან მისმან დიდსა ხუთშაბათსა, შემდგომად ცისკრისა ლოცვისა, აღიყვანოს წმიდასა საკურთხეველსა ზედა, და ორნივე ჴელნი დაუსხნეს წმიდასა ტრაპეზსა ზედა, და თავსა დასდვას წმიდაჲ სახარებაჲ, და წარიკითხნეს თავსა მისსა ზედა „ხოლო ათერთმეტნი იგი მოწაფენი,“[59] „პირველითგანი“[60] და „ანდერძნი“[61] სრულიად, და ასწავოს ყოველივე, ვითარმედ: „ყოველთათჳს სულთა შენგან განკითხულთა დღესითგან შენ თანა-გაც სიტყჳსგება წინაშე ღმრთისა დღესა მას განკითხვისასა“. და განაკრძალოს ყოველსავე ზედა, რაჲთა არავინ მოწაფეთა მისთაგანი წარწყმდეს, არამედ ყოველთავე ექმნას წინამძღუარ უცთომელ...“

როგორც ვხედავთ, აქ ლაკონურადაა ჩამოყალიბებული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც შეირჩეოდა სამოძღვრო კანდიდატი: 1) იგი უნდა ყოფილიყო ყოველმხრივ წმინდა და უნაკლო, 2) ამქვეყნიური საქმეებისაგან (ე.ი. ცოდვებისაგან) განშორებული, 3) მონაზვნად

58 ე. კოჭლამაზაშვილი, დიდი სინური... გვ. 72.

59 ესაა მათეს სახარების ბოლო მონაკვეთი, სადაც მოთხრობილია ქრისტეს მცნება მოწაფეებისადმი – დაემოწაფებინათ „ყოველნი წარმართნი“ და ესწავლებინათ ანუ ემოძღვრათ (διδάσκοντες) მათთვის ყოველივე, რაც ქრისტემ ამცნო მათ (მათე 28,16-20).

60 ესაა საღმრთისმეტყველო შესავალი იოვანეს სახარებისა (იოვანე 1,1-17). მოძღვრად ხელთდასხმადისათვის ამ საკითხავის წაკითხვა მიანიშნებს იმას, რომ მისი მომავალი მოძღვრობის საფუძველი მართლმადიდებლობაა (ანუ მართებული ღმრთისმეტყველება).

61 ანდერძად მოიხსენიება ვნების ათორმეტი სახარება: იოვანე 13,31-18,1; იოვანე 18,1-28; მათე 26,57-75; იოვანე 18,28-19,16; მათე 27,3-32; მარკ. 15, 16-32; მათე 27,34-54; ლუკა 23,32-49; იოვანე 19,25-37; მარკ. 15,43-47; იოვანე 19,38-42; მათე 27,62-66 (მრავლობითი ფორმა – „ანდერძნი“ – მიუთითებს სახარების საკითხავთა მრავლობითობას).

აღკვეცილი ('მოწესე') და დაყუდების წესით მცხოვრები, 4) 50 წლის ასაკს მიღწეული, 5) ძველი და ახალი აღთქმის წიგნების ზედმიწევნით მცოდნე, 6) სჯულის კანონის შესწავლისა და განხილვის ხანგრძლივი გამოცდილების მქონე.

მოძღვრის კურთხევა ხდებოდა დიდ ხუთშაბათს, მცხეთის კეთოლიკე ეკლესიაში, მირონის კურთხევის ჟამს. რიტუალს ესწრებოდნენ იმ მონასტრის (უდაბნოს) მონაზონნი, სადაც მოძღვრობისათვის გამორჩეული მოწესე იყო აღზრდილი. მისი მოძღვარი გამოაცხადებდა, რომ საკურთხებლად წარმოდგენილი კანდიდატი ყოველმხრივ უნაკლოა და მოძღვრობის წესისათვის შესაფერისი. ცისკრის ლოცვის დასრულების შემდეგ იგი საკურთხეველში აიყვანდა სამოძღვრო კანდიდატს, მუხლს მოადრეკინებდა საკურთხევლის წინაშე, თავზე სახარებას დაადებდა და სამ ვრცელ მონაკვეთს წაუკითხავდა მისგან. ამასთან, ასწავლიდა მოძღვრების ყოველსავე წესს და განაკრძალებდა მომავალ მსახურებაში.

ამის შემდეგ პატრიარქი ხელთ დაასხამდა სამოძღვრო კანდიდატს და წაუკითხავდა შესაბამის ლოცვას.[62]

ჯელთდასხმის ლოცვის ტექსტს მოსდევს რიტუალური მითითება ზედა შესამოსლის – პალლიოს (τό παλλίον)[63] შეცვლის შესახებ, ისევე, როგორც წინამძღვრის კურთხევაშია აღნიშნული.[64]

მოძღვრის კურთხევისათვის წინამძღვრის კურთხევის ლოცვის გამოყენება ამ ორი წესის (თანამდებობის) სიახლოვესა და თითქმის იგივეობას მოასწავებს. ორივე მოწესე – წინამძღვარიც და მოძღვარიც – სიტყვიერი სამწყსოს სულიერი ცხოვრების წარმმართველად დაიდგინებოდა, უცთომელ მესაჭედ და მეგზურად, განმკითხველად და მასწავლელად, მზრუნველად და შუამდგომელად ღმრთის წინაშე.

ახლადგამოვლენილი წესი მოძღვრის ჯელთდასხმისა და კურთხევისა, ვფიქრობთ, შესაძლოა, საფუძვლად დაედოს მოძღვრობის ინსტიტუტის (მოძღვრობის წესის) რესტავრაციას საქართველოს ეკლესიაში, თუ ამის საჭიროება შეიქნა.

62 მოძღვრის დადგინების ლოცვა, როგორც უკვე ვთქვით, წინამძღვრის ხელთდასხმის ლოცვას ემთხვევა.

63 παλλίον -ის შესახებ იხ.: Γ. Θ. Βεργώτη, Αεξικόν λειτουργικῶν καὶ τελετουργικῶν ὅρων, Θεσσαλονίκη 1995, 170.

64 იხ.: Eujcolovgion to; mevga, jAqh„nai 1902, 195. Εὐχολόγιον τὸ μέγα, Ἀθῆναι 1902, 195

Tamaz Kochlamazashvili

Pastoral orders

Pastorship, i.e., mentorship and guidance (on dogmatic, conceptual, moral, lifestyle and other issues) can be considered as the main mission in the life of the Christian church. In a medieval ecclesiastical community (whether a bishopric, monastery or parish), pastoral orders were vested in its head (bishop, father superior, or a superior clergy having spiritual charge over a parish), while the ordinary clergy, presbyters and deacons, did not have the right to act as pastors. This hierarchy was maintained in the Georgian Church until the 19th century, when, after the unification of the Georgian Church with the Russian Church (1811), pastoral orders became looser under the influence of the Russian Church and could be assumed by any presbyter. In 1917, the Georgian Church regained its autocephaly, but pastoral orders did not change.

Tinatin Margalitadze

A One-Dimensional Model of a Polysemantic Word

The article deals with one of the universal models of polysemantic verbs and adjectives, namely, the one-dimensional model. Along with describing the model itself, this article also analyzes some issues connected with polysemy, such as the essence and status of the separate meanings of a polysemantic word and the role of context in the process of their realization. This article also examines the peculiarities of the lexical meanings of verbs and adjectives.